

ფსევდო-ათანასე ალექსანდრიელის „Homilia in Nativitatem Praecursoris“ და მისი ძველი ქართული თარგმანი

THEOLOGICAL ANALYSIS OF THE HOMILY ATTRIBUTED TO ATHANASIUS OF ALEXANDRIA “IN NATIVITATEM PRAECURSORIS”

ილია ცეცხლაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

Ilia Tsetskhladze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

 <https://orcid.org/0000-0002-4204-8649>

საკვანძო სიტყვები: ფსევდო-ათანასე იოვანე ნათლისმცემელი ძველი ქართული თარგმანი ფსევდონიმიის
პრობლემა ავთენტურობა

Keywords: Pseudo-Athanasius, John the Forerunner old Georgian translation problem of Pseudonymity, authenticity

ABSTRACT

The article is dedicated to the homily “Homilia in Nativitatem Praecursoris” (PG 28, 905–913) attributed to Pseudo-Athanasius of Alexandria and its Old Georgian translation. The authenticity of the homily remains a debated issue.

The Georgian version survives in a single 16th-century manuscript, part of the Gelati metaphrastic collection, placed among texts for the June 24 reading. The identity of its translator is unknown.

The homily is of significant interest as it interprets several biblical passages, including episodes from the Gospel of Luke, such as Gabriel’s annunciation to Zechariah regarding the birth of John the Forerunner (Luke 1:5–20) and the Annunciation to the Theotokos (Luke 1:26–38). Besides these, the homily references and interprets numerous other biblical passages, making it particularly valuable for the study of angelology. Its literary quality stands out, both in the original Greek and the Old Georgian translation, characterized by rich stylistic devices and rhetorical narrative typical of oratory art.

The study examines the source-critical, theological, and philological aspects of the text, focusing on its con-

tent, form, and structure. Special attention is given to the authenticity of the homily and the analysis of the Georgian translation, an early Christian literary monument distinguished by stylistic and lexical features unique to the original text.

The article explores hypotheses regarding the homily’s authenticity, manuscript evidence, and stylistic characteristics of both the original and the Georgian translation. Textual analysis is supported by source-critical methods, enabling the determination of the translation type, stylistic features, and its correspondence to the original.

Furthermore, the theological themes of the homily are discussed, reflecting fundamental principles of Christian faith and the role of the Forerunner in Christian church history. The ideological and pedagogical functions of the text are highlighted, underscoring its unique value as a monument of Christian heritage.

The study also underscores the significance of the Old Georgian translation and its cultural context, contributing to the understanding of Georgian Christian literature and tradition.

ფსევდო-ათანასეს თხზულება “Homilia in Nativitatem Praecursoris, in Elisabet, et in Deiparam” (CPG 2267, BHG 866) ჰომილეტიკურ ჟანრს განეკუთვნება და მასში, ძირითადად, ლუკას სახარების ორი მონაკვეთია განმარტებული: პირველია გაბრიელ მთავარანგელოზის ზაქარიასთან საუბარი ტაძრის საკურთხეველში და იოვანეს შობის წინასწარუწყება (ლუკა 1, 5-25), მეორე კი – ასევე გაბრიელისაგან მაცხოვრის შობის ხარების ეპიზოდი (ლუკა 1, 26-38).

სახარების განმარტებული მონაკვეთებიდან გამომდინარე, ჰომილიამ იოვანე ნათლისმცემლის

შობისა და მუცლადღების დღესასწაულების ლიტურგიკული საკითხავის ფუნქცია შეიძინა. ამას ადასტურებს ხელნაწერული ტრადიცია, ჩვენამდე მოღწეულ ყველა ბერძნულ თუ ქართულ კრებულში, რომლებიც, ძირითადად, მენოლოგიონებია, ქადაგება 24 ივნისისა (შობა იოვანესი) და 23 სექტემბრის (მუცლადღება იოვანესი[1]) საკითხავია.[2]

ჰომილია ძველ ბერძნულად არის შექმნილი და შემდგომ თარგმნილი ძველ ქართულ და ლათინურ ენებზე.[3] ხელნაწერი ტრადიციით, ავტორი ათანასე ალექსანდრიელია, მაგრამ სამეცნიერო ლიტერატუ-

რაში ავთენტურობის საკითხი მეტად პრობლემურია.

ზოგადად, ბიზანტიურ ლიტერატურაში ფსევდონიმია ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემა. ავტორებისა და, შესაბამისად, შექმნის თარიღის განუსაზღვრელობის გამო კი თხზულებები ისტორიული დოკუმენტების ღირებულებას კარგავს.

ტექსტის ფილოლოგიური შესწავლის საფუძველზე მეცნიერები ჰომილიას ფსევდო-ეპიგრაფიკულად მიიჩნევენ. ვარაუდობენ, რომ თხრობის ენა და სტილი არ შეესაბამება ათანასეს სტილსა და მე-4 საუკუნის ბერძნულ ენას, იგი უფრო მოგვიანო პერიოდის (VI-VIII სს.) ბერძნულით არის დაწერილი. [4] თხზულების შესწავლისა და მისი სხვა ფსევდო-ეპიგრაფიკულ ჰომილიებთან შედარების შემდეგ მეცნიერები რამდენიმე შესაძლო ავტორს ასახელებენ.

ავთენტურობის საკითხის კვლევისას სხვადასხვა ენაზე არსებული ძველი თარგმანების მონაცემების გათვალისწინება აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ვინაიდან უცხოენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში ფსევდო-ათანასესელი ჰომილიის კვლევისას ჯერ-ჯერობით არ არის გათვალისწინებული მისი ძველი ქართული თარგმანი და ხელნაწერული ტრადიცია, წინამდებარე სტატია მეტ მნიშვნელობას იძენს.

ფსევდო-ათანასე ალექსანდრიელის “Homilia In Nativitatem Praecursoris” და მისი ავთენტურობის საკითხი

“Homilia In Nativitatem Praecursoris” შემონახულია ძველი ბერძნული და ძველი ქართული ხელნაწერებით, რომლებიც IX-XVII საუკუნეებს მოიცავს. არ არის გამოცემული ძველი ბერძნული კრიტიკულად დადგენილი ტექსტი. დღეისთვის არსებული patrologia Graeca-ს გამოცემა ერთ, ცალკეულ, პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცულ, XIV საუკუნით დათარიღებულ, ხელნაწერს ეყრდნობა (Colb. 1711), [5] რომელიც არ არის ხელნაწერთა შორის უძველესი. ჰომილიის შემცველი უძველესი ხელნაწერი მოსკოვის სახელმწიფო საისტორიო მუზეუმშია დაცული და IX-X საუკუნეებით თარიღდება. შემონახული 17 ბერძნული კრებულიდან 6 უძველესია (IX-XI სს.), დანარჩენი 11 კი XII-XVII საუკუნეებს მოიცავს.

ცნობილ კატალოგებში Clavis Patrum Graecorum-სა და Bibliotheca Hagiographica Graeca-ში, რომლებშიც, სხვა თხზულებების შემთხვევაში, მითითებულია როგორც ბერძნული, ლათინური, ისე ქართული (გ. ფერაძისა და მ. თარხნიშვილის კვლევების მიხედვით) და სომხური ვერსიებიც, საკვლევი ჰომილიის შემთხვევაში არ არის მითითებული, რომ არსებობს ჰომილიის ძველი ქართული თარგმანიც, შემონახული ერთადერთი მეტაფრასული კრებულით (ქსიმ. K-3, XVI ს.).

შემორჩენილ ხელნაწერებში ყურადღებას იქცევს ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, ჰომილია მენოლოგიონების დიდ ნაწილში 24 ივნისის, იოვანეს შობის საკითხავად არის შეტანილი მაშინ,

როცა თხზულებაში იოვანე ნათლისმცემელზე აქცენტი თითქმის არ კეთდება. აღსანიშნავია ისიც, რომ ერთადერთ, უძველეს, რუსეთის სახელმწიფო საისტორიო მუზეუმში დაცულ, IX-X სს.-ით დათარიღებულ ხელნაწერში (Син. гр. 284 (Vlad. 215)) არის ეს საკითხავი 23 სექტემბრის, იოვანეს მუცლადღების საკითხავი, რაც თემატურადაც მეტად უკავშირდება ჰომილიის შინაარსს, რადგან მასში ნათლისმცემლის მუცლადღება ემცნობა ზაქარიას. [6]

ჰომილიის ავთენტურობის საკითხის შესწავლის ისტორია

ჰომილიის ავთენტურობის საკითხი დღემდე საკამათოა. ვინაიდან ხელნაწერი ტრადიციის მიხედვით ავტორი ათანასეა, მკვლევრების მიერ ავთენტურობასთან დაკავშირებული ჰიპოთეზები, ძირითადად, ტექსტოლოგიურ ანალიზს ეყრდნობა.

ვიდრე აღნიშნულ საკითხზე გადავიდოდეთ და მეცნიერთა დასკვნებს განვიხილავდე, საჭიროა ბიზანტიურ ლიტერატურაში ფსევდონიმის პრობლემის აქტუალობისა და მისი გამომწვევი მიზეზების მიმოხილვა.

ათანასე ალექსანდრიელი IV საუკუნის ავტორია, მისი სახელით დღემდე მოღწეული თხზულებების დიდი ნაწილის ავთენტურობა კი – საეჭვო. ბუნებრივია, ეკლესიის ჩამოყალიბების ამ ადრეული ხანის მოღვაწის შრომებმა ჩვენამდე მოსაღწევად დიდი გზა განვლო. შემონახულია ათანასეს მრავალი ავთენტური შრომა, რომლებიც, ძირითადად, პოლემიკურ ჟანრს განეკუთვნება, ეგზეგეტიკური და ჰომილეთიკური ჟანრის თხზულებების უმეტესობის ავთენტურობა კი დღემდე განხილვის საგანია.

როგორც ცნობილია, შუა საუკუნეებში არსებობდა ასეთი ტენდენცია: ნაკლებად ცნობილი ან, სულაც, ქრისტიანული ორთოდოქსული სწავლებისგან განსხვავებული მოსაზრებების მქონე ავტორი, საკუთარ თხზულებას სხვა ცნობილი ავტორის სახელით ავრცელებდა, რაც მას უფრო პოპულარულსა და კითხვადს ხდიდა. [7] ამასთან ერთად, ბიზანტიურ ეპოქაში, მიღებული პრაქტიკა იყო სხვადასხვა ავტორის თხზულებების მიხედვით კომპილაციური ნაშრომის შექმნა ისე, რომ არსად ყოფილიყო მითითებული მათი სახელები. გარდა ამისა, ეკლესიაში ლიტურგიკის განვითარებასთან ერთად, მალევე (ფუძემდებლები, ძირითადად, იყვნენ იოვანე ოქროპირი, ბასილი დიდი და სხვა ცნობილი ავტორები) გაჩნდა საჭიროება განემარტათ ღმრთისმსახურების დროს ტაძარში წაკითხული სახარება. ამგვარმა პრაქტიკამ კალენდარულად დალაგებული ეგზეგეტიკური, ჰომილეთიკური და პანეგირიკული ხასიათის მენოლოგიონების, ჰომილეთიკური (ე.წ. ჰომილიარები) და ეგზეგეტიკური თუ სხვა სახის საწელიწადო სადღესასწაულო საკითხავების კრებულების შექმნის აუცილებლობა გამოიწვია. საუკუნეების განმავლობაში ეს კრებულები ცვდებოდა, იშლებოდა, საჭირო ხდებოდა ახლის შექმნა. სხვადასხვა გადამწერი,

საჭიროებიდან გამომდინარე, სხვადასხვა წმ. მამის თხზულებას გამოკრებდა ძველი კრებულებიდან, დაზიანების გამო ავტორის სახელს არასწორად გადაწერდა, დროთა განმავლობაში კი ეს მნიშვნელოვან ცდომილებებს იწვევდა. ამასთან ერთად, როცა საუკუნეების წინ შექმნილი ტექსტები ვეღარ უპასუხებდა თანამედროვე პრობლემებს ან მასში ზედმეტი, უკვე არააქტუალური საკითხები იყო განხილული, კომპილატორები, მთარგმნელები, (მაგალითად, როგორც ეფთვიმე ათონელი იყო) ხშირად იყენებდნენ „კლება-შემატების“ მეთოდს; ამავე მეთოდით ახალი ტექსტებიც იქმნებოდა. ხშირი პრაქტიკული დანიშნულების გამო ეს პროცესი განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო ზემოთ დასახელებული, საეკლესიო პრაქტიკაში ხშირად გამოყენებადი ტიპის კრებულებისთვის.[8]

ამგვარი გზის გავლის შემდეგ, ხელნაწერი ტრადიციით ათანასეს სახელით მოღწეული ეგზეგეტიკურ-ჰომილეტიკური თხზულებების უმეტესობა Dubia-დ ან Spuria-დ არის სახელდებული.[9]

IX-X საუკუნეების ხელნაწერით შემონახული ჰომილიის „In Nativitatem Praecursoris“ ავთენტურობის შესახებ შვიდი სხვადასხვა მკვლევარი განსხვავებულ მოსაზრებას გამოთქვამს, კომპილაციურ ნაშრომად მიიჩნევს, არა IV ს.-ის, არამედ უფრო მოგვიანო პერიოდის ანონიმ ან სავარაუდო ავტორებს ასახელებს, ესენია: ტიმოთე იერუსალიმელი//ანტიოქიელი (VI-VIII სს.),[10] ამფილოქე იკონიელი (IV-V სს.),[11] ლეონტი კონსტანტინოპოლელი (V-VI სს. (?)) და პროკლე კონსტანტინოპოლელი (V ს.).[12]

ფრანგი მეცნიერი ბერნარ კაპელი ჰომილიას ტიმოთე იერუსალიმელს მიაწერს.[13] კაპელის ეს მოსაზრება მრავალ კატალოგსა თუ კვლევაშია მითითებული, თუმცა არაერთგვაროვნად. კატალოგების CPG (2267) და Clavis Brepols[14] და ესპანელ მკვლევრის, რობერტო კაროს, მითითებით კაპელი „In Nativitatem Praecursoris“ ავტორად ტიმოთე იერუსალიმელს ასახელებს და ექსტრაგავანტური ლექსიკის, სიტყვიერი ასონანსებისა თუ წმინდა წერილის ციტირების მეთოდით ტიმოთეს სხვა ორ ჰომილიას ამსგავსებს. [15] რენე ლაურენტინის ნაშრომის „Bulletin sur la Vierge Marie“ თანახმად, რომელიც ერთგვარ კატალოგს წარმოადგენს, კაპელის კვლევაში ჰომილია ტიმოთე ანტიოქიელს (VI-VII სს.) მიეკუთვნება. თავად ლაურენტინი, სხვათა მოსაზრებების დასახელების შემდეგ შენიშნავს – „auteur incertain“.[16]

კაპელის მოსაზრებას იზიარებს და ჰომილიას ტიმოთე იერუსალიმელს მიაკუთვნებს იტალიელი მკვლევარი დავიდ მარია მონტანაც.[17]

აგრეთვე ფრანგულენოვან სამეცნიერო კვლევაში მორის საშოტი აღნიშნავს, რომ კაპელის საკვლევი მეთოდოლოგია მართებულია და ამ გზით მას სწორი დასკვნების გაკეთება შეეძლო, თუმცა მან კვლევა შეწყვიტა და ჰომილია ტიმოთე იერუსალიმელს მიაკუთვნა, რომლის არსებობაც კი ეჭვქვეშ დგას, რომ არაფერი ვთქვათ მისი მოღვაწეობის ზუსტი თარიღების განსაზღვრაზე[18] (თავად საშო-

ტის მოსაზრებებზე ვრცლად ქვევით).

ფრანგი მკვლევარი ბენედიქტ მარქსი ხელნაწერი ტრადიციით განსაზღვრავს რომელი თხზულებებია პროკლე კონსტანტინოპოლელის სახელით მოღწეული, ხოლო შემდეგ, ზემოთ დასახელებული მეთოდოლოგიის გამოყენებით, ასკვნის, რომ პროკლეს „ავთენტურ“ თხზულებებში გამოვლენილი სტილი რამდენიმე სხვა ფსევდო-ეპიგრაფიკულ ჰომილიას ემთხვევა, ერთ-ერთი კი არის სწორედ „Homilia in Nativitatem Praecursoris“.[19] მარქსის ამ დასკვნას არ აქვს მყარი საფუძველი, რადგან, ერთ შემთხვევაში, იგი ხელნაწერ ტრადიციას ენდობა, რათა შემდგომი კვლევისთვის საფუძველი შექმნას და პროკლე კონსტანტინოპოლელის ავთენტური თხზულების განსაზღვრა შეძლოს, ხოლო, მეორე შემთხვევაში, უგულებელყოფს ასევე ხელნაწერ ტრადიციას, რომელიც ერთ-ერთ დასახელებულ თხზულებას ათანასეს მიაწერს.

Patrologia Graeca-ს 28-ე ტომში გამოცემული ტექსტი საეჭვოდ (Spuria) არის მიჩნეული. მოკლე წინასიტყვაობაში ვკითხულობთ, რომ ჰომილიის სტილი და ლექსიკა შორს არის ათანასესა და, ზოგადად, ადრეული პერიოდის მამებისთვის დამახასიათებელი მძიმე და ამაღლებული სტილისგან. მასში მრავლად არის მოგვიანო პერიოდის ბერძნული ენისთვის დამახასიათებელი კომპოზიტები, რომლითაც თხზულების ენა უახლოვდება დაბალ სტილს. წინასიტყვაობის მიხედვით, ამის გათვალისწინებით, ჰომილია ათანასეს მოღვაწეობიდან რამდენიმე საუკუნის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი.[20]

კაპელისა და მარქსის დასკვნებს ნაწილობრივ იზიარებს, მაგრამ მათ კიდევ უფრო აღრმავებს ესპანელი მკვლევარი რობერტო კარო.

კაროს მოსაზრებით, ჰომილიას სტრუქტურული მთლიანობა აკლია. ტექსტში აშკარაა თემატური დაყოფა. ორი მნიშვნელოვანი მონაკვეთი, გაბრიელ მთავარანგელოზის მიერ ზაქარიასთვის წინამორბედისა და შემდგომ ღმრთისმშობლისადმი მაცხოვრის შობის ხარება ერთმანეთთან სათანადოდ არ არის დაკავშირებული, თავს იჩენს გარკვეული წინააღმდეგობები. აქედან გამომდინარე კარო ასკვნის, ჰომილია კომპილაციაა. მკვლევარი შემდეგი სახის შრეებს გამოყოფს:

ორიგინალი ტექსტი: PG: 905 A – 908 B 4; 909 A 9 – D 9; 912 A 6 – C1; 912 D 6 – 913 D.

კომპილაცია: PG: 908 B 4 – 909 A 9; 909 D 9 – 912 A 5; 912 C 1 – D 6.

კაროს თქმით კაპელისა და მარქსის მეთოდოლოგია სწორია და ამ გზით შესაძლებელია ბიზანტიურ მწერლობაში ფსევდონიმიის დაძლევა, თუმცა ნაადრევი დასკვნებისგან და ფსევდო-ეპიგრაფიკული თხზულებების რომელიმე ავტორზე ცალსახა მიკუთვნებისაგან თავი უნდა შევიკავოთ – ვინაიდან ჰომილია კომპილაციაა, შესაბამისად, შესაძლოა, მისი შემდგენელი იყოს, მაგალითად, ტიმოთე იერუსალიმელი, მაგრამ ტექსტში გამოყენებული იყოს ფრაგმენტები ათანასე ალექსანდ-

რიელის, პროკლე კონსტანტინოპოლელის, იოვანე ოქროპირისა თუ სხვათა ნაშრომებიდან.

კაროს მოჰყავს კაპელისა და მარქსის მიერ გამოკვეთილი რამდენიმე ფრაზა და კონსტრუქცია, რომლებზე დაყრდნობითაც, ერთი მხრივ, კაპელი ფსევდო-ათანასესეულ სამ ჰომილიასა[21] და ტიმოთე იერუსალიმელის ორ ჰომილიას ერთმანეთს ამსგავსებს, ხოლო, მეორე მხრივ, მარქსი მსგავსებას ხედავს პროკლე კონსტანტინოპოლელთან. ამის შემდეგ კი ამბობს, რომ ამ ფრაზებს თუ დავეყრდნობით, ჰომილიები შეიძლება ამფილოქე იკონიელსაც მივაკუთვნოთ, მეტიც, შეიძლება ტიმოთე იერუსალიმელი და ამფილოქე იკონიელი ერთი და იგივე პიროვნება იყოს. ყოველ შემთხვევაში, ჯერ არ არსებობს არანაირი არგუმენტი, რომელიც საპირისპიროს დაამტკიცებს.[22]

ფსევდოეპიგრაფიკული ჰომილიების ავთენტურობის პრობლემის დასაძლევად ტექსტოლოგიურ ანალიზზე დაფუძნებულ ფართომასშტაბიან კვლევას წარმოადგენს ფრანგი მეცნიერი მორის საშოტი. იგი 600-მდე ჰომილიის შესწავლის შემდეგ გამოყოფს 25 ჰომილიას, რომლებიც სხვადასხვა ავტორის სახელითაა მოღწეული, მაგრამ მათ ლეონტი კონსტანტინოპოლელს მიაწერს და მათ შორის არსებულ მსგავსებაზე საუბრობს.

კვლევის საფუძვლად საშოტი, ერთი მხრივ, იშველიებს ცნობილი ფრანგი პალეოგრაფის, მარსელ რიჩარდის (1907–1976 წწ.) ცნობებს, რომელთა მიხედვითაც, საშოტის მიერ დასახელებული 25 ჰომილიიდან 4 დანამდვილებით ეკუთვნის ლეონტი კონსტანტინოპოლელს, იგივე ნეაპოლელს.[23] მეორე მხრივ, მეთოდოლოგიის განსაზღვრისთვის, ეყრდნობა მიშელ ობინოს მიერ 1972 წელს „Revue des Etudes Grecques“-ში გამოქვეყნებულ სტატიას.[24]

ამის შემდეგ იგი გამოყოფს რამდენიმე სპეციფიკურ ფრაზას, რომლებიც გარკვეული სიხშირით მე-

ორდება 25-ვე ჰომილიაში:

1. **Ἡκουες ἀρτίως τοῦ συγγραφέως//εὐαγγελιστοῦ λέγοντος.** ეს არის ფრაზა, რომლითაც ავტორი იწყებს წინადადებას, როცა სურს პირველად ჩართოს თხრობაში წმინდა წერილის ციტატა და შემდეგ განმარტოს იგი.
2. **Καὶ ὅτι,** რომელიც ფუნქციით პირველის მსგავსია, მაგრამ ავტორი მას არა დამოუკიდებელი წინადადებების დასაწყებად, არამედ რთული წინადადებების ერთმანეთთან დასაკავშირებლად იყენებს.
3. **Τί οὖν[25]** ფორმულა შერჩეულ ჰომილიებში ხშირად გამოიყენება რიტორიკული შეკითხვებისთვის. იცვლება მხოლოდ პერსონაჟთა სახელები: οἱ Φαρισαῖοι, ὁ Κύριος, ὁ εὐαγγελιστής Λουκᾶς.
4. მეოთხე ფორმულა ასევე რიტორიკული დანიშნულებით გამოიყენება და მეტად სპეციფიკურია – **καθὼς ἀρτίως ἤκουες.**
5. **ἐκ τὸν ἀρτίως ἀναγνασθέντων λάνθανε τὴν ἀποδείξιν** – ეს ფორმულა შედარებით იშვიათია, მაგრამ მაინც აღნიშვნის ღირსია, რადგან, როგორც მე-4 ფორმულას, საშოტი მასაც სპეციფიკურად ლეონტისთვის დამახასიათებლად მიიჩნევს.[26]

ვინაიდან „Nativitatem Praecursoris“-თან ერთად ათანასეს სახელით მოღწეული კიდევ ერთი ჰომილიის „Descriptionem Deiparae“[27] დედანი და მისი ძველი ქართული თარგმანი უკვე შესწავლილია, საშოტის მიერ ჩამოთვლილ ფრაზებს ამ ორ ჰომილიაში დაფიქსირებულ კონკრეტულ მაგალითებთან ერთად ცხრილის სახით წარმოვადგენ.

იმის გათვალისწინებით, რომ ლეონტი კონსტანტინოპოლელი ცნობილი ყოფილა, როგორც კომპილაციური ნაშრომების შექმნით, ისე ავტორიტეტულ მამათა სახელების მითვისებით, სავსებით შესაძლებელია, ლეონტის საკუთარი კომპილაციური ნაშრომები თავიდანვე ათანასეს, ტიმოთე იერუსალიმელის, იოვანე ოქროპირისა თუ ამფილოქე იკო-

ფრაზა	<i>Nativitatem Praecursoris</i>	<i>Descriptionem Deiparae</i>
Ἡκουες ἀρτίως	1. Ἡκουες ἀρτίως τοῦ εὐαγγελιστοῦ Λουκᾶ λέγοντος: «Ἐν τῷ μηνὶ τῷ ἔκτῳ (PG 28, 912 A 12). 2. Ἡκουες ἀρτίως τοῦ εὐαγγελιστοῦ Λουκᾶ λέγοντος· Εἰσελθὼν δὲ εἰς τὸν οἶκον ὁ ἄγγελος (PG 28, 912 B 18-19).	1. Ἡκουες ἀρτίως τοῦ εὐαγγελιστοῦ Λουκᾶ λέγοντος: «Ἐν ταῖς ἡμέραις ἐκείναις (PG 28, 945 A 5). 2. Ἡκουες ἀρτίως τοῦ εὐαγγελιστοῦ Λουκᾶ λέγοντος· Καὶ ἐγένετο (PG 28, 956 A 2).
Καὶ ὅτι	1. Καὶ ὅτι ἄπιστος Ζαχαρίας τὴν τοῦ σώματος ἀσθενεῖαν (PG 28, 908 B 17). 2. Καὶ ὅτι ἐν τοῦτοις τὸ θυσιαστήριον (PG 28, D 52).	1. καὶ ὅτι οὐδεὶς ἀνδρῶν (PG 28, 953 A 3).
Τί οὖν	1. Τί οὖν ὁ εὐαγγελιστής Λουκᾶς; καλὸν γὰρ ἡμᾶς (PG 28, 909 A 6).	1. Τί οὖν ὁ εὐαγγελιστής Λουκᾶς; Καλὸν γὰρ λοιπὸν (PG 28, 953 C 40).
καθὼς ἀρτίως ἤκουες	1. καθὼς ἤκουες ἀρτίως τοῦ Γαβριὴλ πρὸς τὴν Παρθένον λέγοντος (PG 28, A 9-10).	1. καθὼς ἀρτίως ἤκουες, ἐστύγνασεν (PG 28, 952 A 1). 2. καθὼς ἀρτίως ἤκουες, διὰ τὴν ἀπογραφὴν (PG 28, 952 A 5).
ἐκ τὸν ἀρτίως ἀναγνασθέντων	1. Τίνα δὲ καὶ τὰ ἀρτίως παραναγνασθέντα (PG 28, 912 A 5).	X

ნიელის სახელებით გაევრცელებინა.[28]

საბოლოოდ, საშოთი ასკვნის, რომ ჰომილიები კომპილაციურია, მაგრამ ერთსა და იმავე ავტორს ეკუთვნის. იგი უარყოფს, რომ ეს არის ტიმოთე იერუსალიმელი ან პროკლე კონსტანტინოპოლელი, არამედ, რაც დანამდვილებით შეიძლება ითქვას, ავტორის სახელია ლეონტი და იგი არის კონსტანტინოპოლელი მღვდელი, მაგრამ მკვლევარი ზუსტად ვერ განსაზღვრავს მის ვინაობასა და მოღვაწეობის წლებს.

დასკვნა

ავტენტურობის საკითხი საბოლოოდ რომ შევაჯამოთ, მკვლევართა მიერ გამოყენებული მეთოდოლოგია მართებულია და მას განსაკუთრებით დიდი პერსპექტივა აქვს დღეს, ციფრულ ეპოქაში, კორპუსული კვლევისა და სტატისტიკური მონაცემების შეგროვების შესაძლებლობის გამო, მაგრამ ყველა ჩამოთვლილი მეცნიერის დასკვნას აქვს მნიშვნელოვანი ხარვეზი.

პირველი, ეს არის ხელნაწერული ტრადიციის გათვალისწინება მაშინ, როცა მათ სურთ თავიანთ ჰიპოთეზაში დასახელებული ავტორის თხზულების იდენტიფიცირება და გაუთვალისწინებლობა იმ შემთხვევაში, როცა ყველა დღემდე მოღწეული ხელნაწერი, მაგალითად, ჰომილიის „In Nativitatem Praecursoris“ ავტორად ათანასეს ასახელებს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი ხარვეზია ისიც, რომ განსახილველი ტექსტების უმეტესი ნაწილის კრიტიკულად დადგენილი (სხვადასხვა ენაზე შესრულებული თარგმანების გათვალისწინებით) გამოცემები არ არსებობს.

არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, კვლევის ამ ეტაპზე მართებულად მიმაჩნია, კაროსა და საშოთის მოსაზრებების გაერთიანება და ჩემ მიერ ათანასეს სახელით ცნობილი ორი ჰომილიის ტექსტოლოგიური, ისტორიული და საღმრთისმეტყველო ასპექტების შესწავლის შედეგად დავასკვნა, რომ: ჰომილია „In Nativitatem Praecursoris“ და აგრეთვე „Sermo de descriptione Deiparae“ კომპილაციურია, რაც არ გამორიცხავს იმას, რომ მისი შემადგენელი ცალკეული ნაწილები სხვადასხვა ავტორს, მათ შორის ათანასეს მიერაა შექმნილი; ეჭვგარეშეა, რომ „Nativitatem Praecursoris“ და „Descriptionem Deiparae“ ეკუთვნის ერთსა და იმავე პიროვნებას (კომპილატორს) და მათში შეინიშნება როგორც გვიანდელი, ე.წ. დაბალი სტილი, ისე ეკლესიის ისტორიის VI-VII საუკუნეებში მიმდინარე პროცესების კვალი, რაც ლიტურგიკის იმგვარ განვითარებას გულისხმობს, რამაც კონკრეტულად დადგენილ „უძრავ“ და „მოდრავ“ დღესასწაულებზე ნაკითხული სახარებების განმარტებითი ხასიათის საკითხავების კალენდარულად დალაგებული კრებულების შექმნა განაპირობა. ამგვარი დღესასწაულები კი, როგორცაა ნათლისმცემლის შობა ან მუცლადღება IV საუკუნის ბოლოსა და V საუკუნის დასაწყისში ცნობილი ღმრთისმეტყველების, ბასილი დიდის,

იოვანე ოქროპირის, გრიგოლ ღმრთისმეტყველისა და სხვათა ძალისხმევით დგინდება, ეს პერიოდი კი სცდება ათანასეს მოღვაწეობას.[29] სავარაუდოდ, იოვანე ნათლისმცემლის მუცლადღების (ასევე შობის) დღესასწაულზე ნაკითხული სახარების განმარტებითი ხასიათის ჰომილიის საჭიროების გამო იგი რომელიმე V-VII საუკუნეების ავტორმა კომპილაციის გზით შექმნა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჰომილიაში „Descriptionem Deiparae“ ღმრთისმშობლის პიროვნება ათანასე ალექსანდრიელის ღმრთისმეტყველებისთვის არადამახასიათებლად არის წარმოჩენილი.[30]

ათანასე ალექსანდრიელს, შესაძლოა, ლუკას სახარების ამ მონაკვეთებზე შეექმნა ეგზეგეტიკური ხასიათის თხზულებები, მაგრამ დასახელებული ორი ტექსტი, ამგვარი სათაურებითა და ფორმით, მისი ხელიდან ვერ გამოვიდოდა, ისინი მოგვიანო პერიოდის გადამუშავების შედეგია და ფსევდო-ათანასესეულად უნდა მივიჩნიოთ.[31] ამასთანავე, ვფიქრობ, ჯერჯერობით, არ არსებობს მყარი საფუძველი, რომ ჰომილია „In Nativitatem Praecursoris“ ზემოთ დასახელებულ რომელიმე ავტორს მივაკუთვნოთ.

ათანასე ალექსანდრიელის თხზულებების ძველი ქართული თარგმანები, ძირითადად, შეუსწავლელია. დასახელებული ჰომილიის ძველი ქართული თარგმანი და მასთან დაკავშირებული საკითხების კვლევა მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს და ამდიდრებს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურას. სამომავლოდ კი, მზადდება ათანასე დიდის შრომების ძველი ქართული თარგმანების სრული კორპუსი.

ლიტერატურა

დოლიძე, თ. (2024). „ჰომილეტიკა“, ქართულ-ბიზანტიური ურთიერთობების ძირითადი მიმართულებები, IV-XV საუკუნეები, ნაკვეთი II, შემდგენელი და სამეცნიერო რედაქტორი თინა დოლიძე, თბილისი, გვ. 104-112.

ნიკოლაძე, ე. (1853). ხელნაწერთა აღწერილობა, რედაქტორი კორნელი კეკელიძე, ტ. I.

ცეცხლაძე, ი. (2022). ათანასე ალექსანდრიელის ჰომილიის ძველი ქართული თარგმანი „ათანასე ალექსანდრიელის ჰომილიის - „აღწერისათვის ღმრთისმშობელისა და იოსებისა“ - ძველი ქართული თარგმანი (ტექსტი, გამოკვლევა და ლექსიკონი), ი. ცეცხლაძე, ნაშრომი შესრულებულია ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თსუ

BHG = Bibliotheca Hagiographica Graeca, par Francois Halkin, t. I-III, Bruxells, 1957.

CPG = Clavis Patrum Graecorum, Corpus Christianorum, t. II, Brepols-Turnhout, 1974.

Capelle, Les homilies liturgiques du prétendu Timothée de Jérusalem = Bernard Capelle, „Les homilies liturgiques du prétendu Timothée de Jérusalem“, in Ephemerides Liturgicae Vol. 63, 1949, p. 4-26.

Caro, R. (1972) La Homiletica Mariana Griega en el Siglo V,

- Homilias pseudo epigraficas, Parte Segunda, p. 532-538.
- Ehrard, I, II, III/1, III/2 band = Texte und Untersuchungen zur geschichte der Altchrislichen Literatur, Erich Klostermann und Carl Schmidt. Überlieferung und bestand der Hagiographischen und Homiletischen Literatur der Griechischen Kirche von den anfängen bis zum ende des 16. Jahrhunderts, Albert Ehrhard, I band, Leipzig, J. C. Hinrichs Verlag, 1937/38/43/52.
- Montagna, D. M. (1962).“La liturgia mariana primitiva”, Marianum 24, , p. 84-128.
- Laurentin, R. (1968). Court traité de théologie Mariale, in Bulletin sur la Vierge Marie, Revue des Sciences philosophiques et théologiques, vol. 52, (Juillet 1968), pp. 479-551.
- Procliana, B. M. (1940). Untersuchungen über den homiletischen Nachlass des Patriarchen Proklos von Konstantinopel, Münsterische Beiträge zur Theologie 23, Münster 1940.
- PG 28 = J. -P. Migne (ed.), Patrologiae cursus completus, Series Graeca, vol 28, Parisii 1857.
- Sachot, M. (1977). “Les homélies de Léonce, prêtre de Constantinople”, in Revue des Sciences Religieuses, tome 51, 1977. p. 234-245.
- [1] 24 ივნისი – შობა წმიდისა იოვანე ნათლისმცემლისაჲ, ცისკრად იკითხება ლუკას სახარება I, 24-25, 57-68, 76, 80; ლიტურგიაზე: ლუკა I, 1-25, 57-68, 76, 80. 23 სექტემბერი – დადუმება ზაქარიაჲსი და მუცლადღება წმიდისა იოვანე ნათლისმცემლისაჲ. ლიტურგიაზე: ლუკა I, 1, 5-25 (გიორგი მთანმიდელი, დიდი სვნაქსარი, გვ. 25-26, 273-274).
- [2] Ehrhard I, 644, 656; II, 7; III, 124, 143, 264, 897.
- [3] ქსიმ. K-3, 245r. PG 28, 906.
- [4] იხ. ჰომილიის წინასიტყვაობა: PG 28, 906.
- [5] PG 28, 905-913. See also: <https://pinakes.irht.cnrs.fr/notices/oeuvre/8252/>. სხვა კრიტიკული გამოცემის არარსებობის გამო სწორედ ეს გამოცემაა გამოყენებული ძველი ქართული თარგმანის დედანთან შედარებისა და სამეცნიერო აპარატის შექმნისას.
- [6] ჰომილია ძველ ქართულ ხელნაწერშიც 24 ივნისის საკითხავია (ნიკოლაძე, ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 15; 245r.
- [7] იქვე, p. 237-238.
- [8] Sachot, p. 237. დოლიძე, ჰომილეტიკა, გვ. 104-108. კოჭლამაზაშვილი, ლიტურგია, გვ. 150-153.
- [9] PG 28. CPG 2240-2301; Православная энциклопедия, c. 35-37.
- [10] Laurentin, Court traité de théologie Mariale, p. 541; Marone, Encyclopedia of Ancient Christianity, p. 796.
- [11] Kazhdan, Oxford Dictionary, p. 80.
- [12] Sachot, p. 245.
- [13] B. Capelle, Les homélies liturgiques du prétendu Timothée de Jérusalem, in Ephemerides liturgicae 63, 1949, p. 4-26. ბიბლიოგრაფიული იშვიათობის გამო, დასახელებული გამოცემა ვერ მოვიპოვე, რის გამოც ამ ავტორის ჰიპოთეზის შესახებ მსჯელობა მეორეულ წყაროებს ეყრდნობა.
- [14] <https://clavis.brepols.net/clacla/OA/Details.aspx?id=2569C851762F4A2AA6B7D7A72C764A66>
- [15] Caro, Homilias pseudo epigraficas, p. 532-538. Timotheus Hierosolymitanus Presbyter (PG 86, 255).
- კაპელი მის მიერ იდენტიფიცირებული ტიმოთე იერუსალიმელის ორ ჰომილიას ათანასეს სახელით ცნობილ კიდევ სამ ჰომილიას (In Nativitatem Praecursoris, Sermo de descriptione Deiparae, In caecum a nativitate) მიაწერს. კაპელის ამ ჰიპოთეზის საფუძველზე ტიმოთე იერუსალიმელს ხუთი ჰომილია ეკუთვნის. იხ. CPG 7405-7410.
- [16] Laurentin, Court traité de théologie Mariale, p. 541; Caro, p. 532.
- [17] Montagna, La liturgia mariana primitiva, p. 84-128.
- [18] Sachot, p. 239. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ტიმოთე იერუსალიმელს ხშირად ტიმოთე ანტიოქიელის სახელითაც მოიხსენიებენ. ზუსტად არ არის განსაზღვრული არც მისი მოღვაწეობის წლები. რობერტო კარო ტიმოთე იერუსალიმელს ამფილოქე იკონიელთანაც აიგივებს. იხ. Caro, p. 535-538; PG 81, 254-256.
- [19] Marx, Procliana, p. 75-77; Laurentin, p. 541; Caro, p. 532; CPG 2267.
- [20] PG 28, 905.
- [21] “Sermo de descriptione Deiparae”, “Homilia in Nativitatem praecursoris”, “In Caecum a Nativitate”.
- [22] Caro, p. 462-464, 536-538.
- [23] თავის მხრივ მარსელ რიჩარდიც ხელნაწერული ტრადიციის მიხედვით ახდენს ავტორის იდენტიფიცირებას, იხ.: Sachot, p. 236-237.
- [24] სტატიის მიხედვით მეთოდოლოგია ჰომილიების სტატისტიკურ და ტექსტოლოგიურ (სტილისტურ და ლექსიკურ) ანალიზს ეფუძნება, იხ.: Sachot, p. 237.
- [25] Τί οὖν οἱ Φαρισαῖοι πρὸς τὸν τυφλὸν // Τί οὖν ὁ Κύριος.
- [26] იქვე, p. 238-239.
- [27] იხ.: „ათანასე ალექსანდრიელის ჰომილიის „აღწერისათვის ღმრთისმშობელისა და იოსებისა“ ძველი ქართული თარგმანი (ტექსტი, გამოკვლევა და ლექსიკონი), ი. ცეცხლაძე, ნაშრომი შესრულებულია ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თსუ, 2022 წ.
- [28] საშოტი იმონებს ფსევდოპროპირისეული თხზულებების მკვლევრის, ფერდინანდ ქრისტიან ბაურის სიტყვებს: “ზოგიერთი მღვდელი თუ სხვა სასულიერო პირი სიამოვნებას იღებდა, როცა ეკლესიაში წაკითხულ საკუთარ (მაგრამ სხვა ავტორის სახელით) ქადაგებებს ისმენდა. ამით ისინი გულბრწყვილოდ აღფრთოვანებულნი იყვნენ” (ი.ც.), იხ.: Sachot, p. 241.
- [29] დოლიძე, გვ. 105. კოჭლამაზაშვილი, გვ. 150-151.
- [30] იხ. დოქტორანტის სასემინარო ნაშრომი: ისტორიული, საღმრთისმეტყველო და მხატვრული ანალიზი ათანასე ალექსანდრიელის ჰომილიისა – „აღწერისათვის ღმრთისმშობელისა და იოსებისთვის“, სადოქტორო პროგრამა: ფილოლოგია (ბიზანტიური ფილოლოგია), ილია ცეცხლაძე, ხელმძღვანელი თინა დოლიძე, თსუ, 2024.
- [31] კომპილაციასთან ერთად არსებობდა ცხოვრებათა ჟანრის მოკლე, ე.წ. კიმენური რედაქციების გამეტაფრასების, ე.წ. „გარდაკაზმვის“ პრაქტიკა, XI ს.-ის შუა წლებიდან, თეოფილე ხუცესმონაზონის მოღვაწეობის დროიდან. იხ.: დოლიძე, გვ. 109-110.